დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 7

ქ. დმანისი 31 ივლისი 2025 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. აზერ ალიევი
4. ოლეგი გოშუანი
5. ილია სარსევანიძე
6. მაკა ოკმელაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. სოფიო ასლამაზაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. მიხეილი დაუთაშვილი
14. გუმბათ იუსუბოვი
15. შახინ კოიალოვი
16. გამლეტ ისმაილოვი
17. სტამბულ ისაევი
18. ნატიგ ოვჩიევი
19. ემილ იბრაგიმოვი
20. თეიმურაზ აფრასიძე
21. გუსეინ ისმაილოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი,
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 13. 15
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 26 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**	
3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვისა და სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად შესაბამისი ადგილების განსაზღვრის შესახებ		
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**	
4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად დასაშვები შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ		
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**	
5	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის Nგ-109.1092502813 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**	
6	**განკარგულება**: ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**	

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1207 „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 220,5 ათასი ლარი, რომელიც აისახოს ორგანიზაციული კოდი 01_02_04 „თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 21,5 ათასი ლარისა, განისაზღვროს 242,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
2) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1212 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის #1955 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 480,7 ათასი ლარი, რომელიც აისახოს ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 5.284,3 ათასი ლარისა, განისაზღვროს 5.764,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

3) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 18 ივლისის #02-1082519914 წერილის საფუძველზე, 06_02_11 ორგანიზაციულ კოდში „შშმპ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ აისახოს 2025 წლის ივნისის თვის გამოყოფილი თანხა 17,9 ათასი ლარის ოდენობით შემდეგი მუხლების მიხედვით:

- ✓ საქონელი და მომსახურება - 0,9 ათასი ლარი;
- ✓ სუბსიდიები - 17,0 ათასი ლარი;

შესაბამისად, „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი ნაცვლად 1,5 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.4 ათასი ლარით, ხოლო „სუბსიდიები“-ს მუხლი ნაცვლად 31,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 48,0 ათასი ლარით (სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი);

4) დმანისის ბიუჯეტის შემოსულობების #31 „არაფინანსური აქტივების კლება“-ს კოდში ჭარბმა შემოსავალმა შეადგინა 80,0 ათასი ლარი, კერძოდ: „ძირითადი აქტივების გაყიდვიდან“ შემოსავალმა შეადგინა 29,0 ათასი ლარი, ხოლო „არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან“ შემოსავალმა შეადგინა 51,0 ათასი ლარი. აღნიშული თანხები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- ორგანიზაციული კოდი 01_02_01 „სარეზერვო ფონდი“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 20,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 200,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 220,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 60,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.829,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.889,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

5) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 28 ივლისის #02-108252096 და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 28 ივლისის #03-108252098 წერილების საფუძველზე, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „გრანტები“-ს მუხლი შემცირდეს 258,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 532,9 ათასი ლარისა განისაზღვროს 274,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე) და აღნიშნული თანხა გადანაწილდეს შემდეგ კოდებზე:
- ორგანიზაციული კოდი 06_02_03 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი გაიზარდოს 200,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 850,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.050,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 58,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 58,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

6) დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 მაისის #ბ-109.109251494 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ივნისის #გ-109.109251771 დადგენილების საფუძველზე ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია“-ა „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 15,0 ათასი ლარით და

აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.889,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.904,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

7) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ივლისის #04-1082520532, ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“-ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის #37-1082519936, ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის #31-1082520223, ა(ა)იპ „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის #30-1082519942 და ა(ა)იპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის #32-1082519851 წერილების საფუძველზე განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ორგანიზაციული კოდი 05_02_04 “კულტურული ღონისძიებები”-ს “სხვა ხარჯები”-ს მუხლი შემცირდეს 35,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- ორგანიზაციული კოდი 05_02_02 ა(ა)იპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი გაიზარდოს 13,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 298,4 ათასი ლარისა განისაზღვროს 311,4 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 05_02_01 ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი გაიზარდოს 10,0 ათასი ლარით, და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.089,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.099,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 04_02_01 ა(ა)იპ „დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი გაიზარდოს 7,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 203,1 ათასი ლარისა განისაზღვროს 210,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 05_02_03 ა(ა)იპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი გაიზარდოს 5,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 267,5 ათასი ლარისა განისაზღვროს 272,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

8) ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის #31-1082520223 და 2025 წლის 23 ივლისის #31-1082520448 წერილების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_02_01 ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი შემცირდეს 2,8 ათასი ლარით, ”არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 2,1 ათასი ლარით და აღნიშნული თანხები, ჯამში 4,9 ათასი ლარი გადატანილ იქნას ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.099,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 1.104,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

9) ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“-ს დირექტორის 2025 წლის 22 ივლისის #29-1082520327 და 2025 წლის 29 ივლისის #29-1082521052 წერილების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 05_01_01 ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლა“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლი შემცირდეს 22,9 ათასი ლარით, „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 107,1 ათასი ლარით და აღნიშნული თანხები, ჯამში 130,0 ათასი ლარი გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი გაიზარდოს 120,0 ათასი ლარით და

აღნიშნული კოდი ნაცვლად 1.904,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.024,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს 10,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 58,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 68,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

10) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის 2025 წლის 28 ივლისის #03-108252098 წერილების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 02_04_01 “მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან 37,0 ათასი ლარი გადატანილ იქნას ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 2.024,6 ათასი ლარისა განისაზღვროს 2.061,6 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

11) ორგანიზაციული კოდი 05_04 „ინიციატივის დაფინანსება“-ს „გრანტები“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას ამავე კოდის „სუბსიდიები“-ს მუხლში თანხა 10,0 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 10,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **34 927,4** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 20

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 26 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილებით შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს N24 დადგენილებაში და მთავრობის ადმინისტრაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით საბჭოს სახელწოდება ჩამოყალიბდეს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, როგორც: „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“. ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის რეკომენდაციის გათვალისწინებითვე საბჭოს წევრთა რაოდენობა დაზუსტდეს და განისაზღვროს 17 წევრით.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებისთვის ვრცლად განმარტა დადგენილებით წარდგენილი ცვლილებების მიზეზი.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 20

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვისა და სააგიტაციო მასალის გასაკრავად/გამოსაფენად შესაბამისი ადგილების განსაზღვრის შესახებ

2025 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვროს:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნებადართული ადგილები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო მასალის გაკვრა/გამოფენა:

1. საცხოვრებელი ბინების (კორპუსების) ფასადები;
2. კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ფასადები (მათ შორის საცხოვრებელი, მესაკუთრესთან ან მფლობელთან შეთანხმებით);
3. მაღაზიის შენობების ფასადები (მესაკუთრეებთან ან მფლობელებთან შეთანხმებით);
4. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალა (პლაკატი) შეიძლება განთავსდეს სპეციალურ სტენდზე, სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 1 (ერთი) ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60სმ. სიგანე 42სმ. (A2 ფორმატი).
5. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება;
6. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილი ადგილების ნუსხა, სადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
2. სასამართლოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
4. სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
5. დმანისის მუნიციპალიტეტის ყოფილი სასოფლო საკრებულოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
6. დმანისის პოლიციის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
7. საჯარო სკოლების ინტერიერსა და ექსტერიერში;
8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
9. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ნიშნები;
10. საკულტო ნაგებობები, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობები;
11. ხე-მცენარეები;
12. ელექტრო გადამცემი და გარე განათების ბოძები;
13. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები/მოსაცდელები;
14. საბავშვო ბაღების შენობა-ნაგებობები და ღობეები.

აზრი გამოთქვეს: ილია სარსევანიძემ.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 20
წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) ჩასატარებლად დასაშვები შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

2025 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია წინასაარჩევნო კამპანიის(აგიტაციის) ჩატარება:

1. სოფელ ვარდისუბნის სარიტუალო დარბაზი
2. სოფელ იფნარის სარიტუალო დარბაზი
3. სოფელ ჯავახის სარიტუალო დარბაზი
4. სოფელ კაკლიანის (აზერბაიჯანული) სარიტუალო დარბაზი

5. სოფელ ტნუსის სარიტუალო დარბაზი
6. სოფელ მამულოს სარიტუალო დარბაზი
7. სოფელ კამარლოს სარიტუალო დარბაზი
8. ქ. დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მდებარე სარიტუალო დარბაზი
9. სოფელ ბოსლების სარიტუალო დარბაზი
10. სოფელ იაღუფლოს სარიტუალო დარბაზი
11. სოფელ ირგანჩაის სარიტუალო დარბაზი
12. სოფელ ზემო კარაბულახის სარიტუალო დარბაზი
13. სოფელ გომარეთის კულტურის ცენტრი

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .
მომხრე:
წინაღმდეგი:
5. მომხსენებელი: ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის Nგ-109.1092502813 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღნიშნული განკარგულების პროექტის თანახმად, შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2025 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის Nგ-109.1092502813 განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2025 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა/გეგმა

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	აუქციონის ფორა (უპირობო/პირობიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი აღორძინების ქ. N5	82.01.46.108	1161	1021.3	66194	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
2	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის. კიზილქილისა	82.11.41.008	222	92.2	11440	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
3	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი 9 აპრილის ქუჩა	82.01.46.582	149		8000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	ძველი აფასებული
4	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტის. ვაკე	82.14.44.446	1253		3759	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული

5	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.45.533	359		14360	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
6	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის. ახა	82.07.42.355	4582		18728	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
7	სასოფლო-სამურნეო	დმანისი მუნიციპალიტეტი ს. ამამლო	82.15.44.697	1396		8376	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
8	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.46.807	2445		122250	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
9	სასოფლო-სამურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.42.951	276		12420	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
10	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ქვემო ოროზმანი	82.14.42.436	1873		14984	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
11	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. ირგანჩაი	82.03.42.544	2155		10775	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
12	სასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ოროზმანი მე-8 ქუჩა N3	82.14.43.489	8220	N1, N2, N3	142675	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
13	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი	82.01.47.032	2547		17829	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
14	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.152	20000		30000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული

15	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტის. შინდლარი	82.10.42.153	20000		30000	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
16	სასოფლო-სამურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტის. საფარლო	82.15.41.668	550		4400	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	სამხარაულის აფასებული
17	მეორადი გამოყენების ხიდი	მდებარე ქ. დმანისი 9 აპრილის ჩიხი N4				5139	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	

ზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 20
წინაღმდეგი:
6. მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის №გ-109.109250287 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
პუნქტი 15 „ქ. დმანისში 25 მაისის ქუჩა N15 სახურავის რეაბილიტაცია“ შემცირდა 27992 ლარით ტენდერის დასრულების შემდგომ დარჩენილი ეკონომიით.
პუნქტი 25 „ქ. დმანისში მოხუცების სახლში ფარდულის მშენებლობა“ შემცირდა 9000 ლარით სამუშაოების დასრულების შემდგომ დარჩენილი ეკონომიით.
ზემოთ მორჩენილი ეკონომიები გადატანილი იქნა 20000 ლარი პუნქტი 33-ში „სოფ განთიადში ორი გაჩერების მოწყობა“-ში.
ხოლო 16992 ლარი გადატანილი იქნა პუნქტ 17-ში „2025 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება“-ში 25313 ლარი დაემატა სოფ პანტიანის მისასვლელი გზის რეგ ფონდის მეორე ტრანშის თანადაფინანსება, ხოლო რეგ ფონდისთვის თანადაფინანსების 10%-ით გაზრდისთვის 180000 ლარის.
დაემატა პუნქტი 34 „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში სოფლების მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაცია“ 70 000 ლარის ღირებულების.
2025 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა გაიზარდა 250 000 ლარით.
აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 20
წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი